საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 67 (13749) | სამშაბათი, 21 მარტი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

კვირას, 19 მარტს მთელ ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო ზეიმი იყო

საქართველოს მშრომელებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება და დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო.

ხალხთა ერთიანი ნება

ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებმა და სოფლებმა. ხტუმარმოყვარულად გაიღო ხაზეიმოდ მორთული ყველა საარჩევნო უბნის კარები. თავიანთი ქვეყნის ბატონპატრონნი რესპუბლიკის მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, კომუნისტები და უპარტიოები ერთსულოვნად მიდიოდნენ საარჩევნო ყუთებთან, რათა მიეცათ ხმა მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებისათვის, იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც თავიანთი მუყაითი შრომით, საერთო საქმისადმი თავდადებით ხალხის საყოველთაო ნდობა დაიმსახურეს.

გასულ კვირა დღეს დიდი ზეიმი იყო აგრეთვე სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ესტონეთის და ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში. აქაც, ისევე როგორც საქართველოში, მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ დაუთვლიათ, მაგრამ წინასწარი ცნობებით შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკმა, რომელიც განსახიერებს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთობას, კვლავ მოიპოვა სრული გამარჯვება. ხმას აძლევდნენ რა დეპუტატობის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინასწარდასახულობებს, რომლებშიც ასახულია ხალხის ბედნიერი მომავალი, მისი კეთილდღეობის ზრდა, ჩვენი დიდი ქვეყნის შემდგომი ძლიერება.

არჩევნებისათვის მზადება საიუბილეო შრომითი ვახტის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო. გადებული ვალდებულებანი, რომლებიც აიღეს ჩვენი რესპუბლიკის მუშებმა, კოლმეურნეებმა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებმა, ძალიან გამოვლინებულა მათი ერთგულებისა დიდი ოქტომბრის საქმისადმი. გაზაფხულის ამ დღეებში დღითიდღე მატულობს შრომის ცეცხლი ნასურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მტკიცე საფუძველს უყრიან საიუბილეო წლის ნამოსავლს.

ეჭვს გარეშეა, რომ ახლად არჩეული ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გააკტიურებენ მუშაობას, კიდევ უფრო განამტკიცებენ მასებთან კავშირს, დარაზმავენ მშრომელებს ხუთწლიანი გეგმისა და საიუბილეო ვალდებულებათა ნაკლარ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, ენერგიულად იბრძოლებენ ხალხთა საფოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კვირას, 19 მარტს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ერთხელ კიდევ მიიტანეს კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი რიგების მონოლითური შეკავშირება, პარტიისა და ხალხის ერთობა.

სურათებზე: თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 29 საარჩევნო უბანში აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი ბიულეტენს უშვებს საარჩევნო ყუთში (მარცხნივ); თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 6 საარჩევნო უბანში პირველმა მისცეს ხმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ტუუმა დ-ძმამ ტატიანა და ოთარ ჩუხრუკიძეებმა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ს. კილაძისა.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იოზეფ კლაუსი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 20 მარტს მიიღო ავსტრიის ფედერალური კანცლერი ექვემდებარეული ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში, და ესაუბრა მას.

დოქტორ კლაუსს ახლდა ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი ლ. ტონჩიჩ-ზორინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მოლაპარაკება გრძელდება

20 მარტს კრემლში გაგრძელდა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე სხვა პრობლემებზე, რომელთა განხილვა დაიწყო წინა შეხვედრების დროს.

მოლაპარაკებაში, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვები;

ავსტრიის მხრივ — ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი იოზეფ კლაუსი, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი ლ. ტონჩიჩ-ზორინი და სხვა ოფიციალური პირნი. (საქდესი).

დარბაზობა გ. ს. ძოწენიძესთან

19 მარტს ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი იოზეფ კლაუსი მთავრობის სახლში ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს.

გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს გ. ს. ძოწენიძემ სტუმარს გააცნო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა, საბჭოთა საარჩევნო სისტემა, უთხრა, რომ ახლა მიმდინარეობს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები. დოქტორმა იოზეფ კლაუსმა თქვა, როდესაც აქ მოვდიოდი, დავინახე, თუ რა ერთსულოვნად მიეშურებოდნენ ამომრჩეველები საარჩევნო უბნებისაკენ.

ავსტრიის მთავრობის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პირად კონტაქტებს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხების მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

საბჭოთა მხრივ საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში ბ. ფ. პოდცერობი.

ავსტრიის მხრივ საუბარს დაესწრნენ ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი ლეიო ტონჩიჩ-ზორინი, ავსტრიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დოქტორი ვალტერ ვოდაკი, ფედერალური კანცლერის უწყების სამმართველოს უფროსი დოქტორი ედუარდ ხალუპკა. (საქდესი).

ი. კლაუსი ეწვია გ. დ. ჯავახიშვილს

19 მარტს ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი იოზეფ კლაუსი, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, მთავრობის სახლში ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

დარბაზობის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი. კანცლერის თხოვნით გ. დ. ჯავახიშვილი ავსტრიელ სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შესახებ. მან დოქტორ იოზეფ კლაუსს უსურვა წარმატებით დაამთავროს ვიზიტი საბჭოთა კავშირში და გამოთქვა რწმენა, რომ ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ავსტრიის მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მრავალმხრივ ურთიერთობას, რომელიც ხელს უწყობს მჭიდრო თანამშრომლობის დაფარგვას ცალკეულ ქვეყნებს შორის. დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ ჩვენი შეხვედრები საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებთან, საბჭოთა ადამიანებთან ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. გომელაური, ე. მ. ჯაფარიძე, ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საბჭოთა კავშირის ელჩი ავსტრიაში ბ. ფ. პოდცერობი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ვ. ჭირაქაძე.

ავსტრიის მხრივ — საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი ლეიო ტონჩიჩ-ზორინი, ავსტრიის ელჩი საბჭოთა კავშირში დოქტორი ვალტერ ვოდაკი, ფედერალური კანცლერის უწყების სამმართველოს უფროსი დოქტორ ედუარდ ხალუპკა. (საქდესი).

საქართველოს სსრ მთავრობამ 19 მარტს მოაწმინდაზე საბანკეტო დარბაზში მეგობრობის, ურთიერთგაგების ვითარებაში

საქართველოს სსრ მთავრობამ 19 მარტს მოაწმინდაზე საბანკეტო დარბაზში საუზმე გაუმართა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს დოქტორ იოზეფ კლაუსს.

ავსტრიის მთავრობის მეთაურთან ერთად საუზმეზე იყვნენ საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი ლეიო ტონჩიჩ-ზორინი, ავსტრიის ელჩი საბჭოთა კავშირში დოქტორი ვალტერ ვოდაკი, ფედერალური კანცლერის უწყების სამმართველოს უფროსი დოქტორი ედუარდ ხალუპკა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე სამმართველოს დირექტორი დოქტორი ჰანერის ჰაიმერლი, ფედერალური კანცლერის უწყების პრესის საქმეთა სამმართველოს უფროსი დოქტორი ფრიც მეცნიკი, ვაჭრობის, ხელოსნობისა და მრეწველობის ფედერალური სამინისტროს სამმართველოს უფროსი დოქტორი ლუდვიგ გრეგორი, განათლების ფედერალური სამინისტროს სამმართველოს უფროსი დოქტორი ფრანც კარასეკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მესამე სამმართველოს განყოფილების გამგე დოქტორი გეორგ ზაიფერტიცი, ფედერალური კანცლერის კაბინეტის უფროსი დოქტორი ალოის მოკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ნ. ინაური, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ნ. გ. გომელაური, ე. მ. ჯაფარიძე, ვ. მ. სირაძე, ა. მ. ლაბახუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, საბჭოთა კავშირის ელჩი ავსტრიაში ბ. ფ. პოდცერობი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ლ. პ. ლიკოვა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ვ. ჭირაქაძე, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საუზმის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა და ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა იოზეფ კლაუსმა საღღეგრძელოები წარმოთქვეს.

საქართველოს მთავრობისა და რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა სახელით გ. დ. ჯავახიშვილი გულთბილად მიეგება კანცლერ კლაუსსა და მის თანმხლებ ავსტრიელ სახელმწიფო მოღვაწეებს, უსურვა წარმატებანი იმ მისიის შესრულებაში, რომლითაც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ.

ჩვენს ქვეყანაში შედარებით ხანმოკლე ვიზიტის მიუხედავად, თქვა მან, თქვენ ალბათ ნახეთ, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ საბჭოთა ადამიანები, იგრძენით, თუ რა გულთბილი გრძნობებით არიან გამსჭვალული ისინი ავსტრიელი ხალხისადმი. დარწმუნებული ვარო, რომ თქვენი ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ურთიერთობა იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება დამყარდეს ორი სახელმწიფოს ურთიერთობა მეგობრულ საფუძველზე. ურთიერთგაგება, თანამშრომლობა, მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის ევროპის უშიშროების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

როდა პატარები ვიყავითო, განაცხადა სიტყვაში დოქტორმა იოზეფ კლაუსმა, ჩვენ ზღაპრული ფერებით ავგიწერდნენ ხოლმე სამთხისებურ ქვეყნებს, რომლებსაც შეიძლება მიეკუთვნოს საქართველოც, ეს კურთხეული მხარე. ჩემი კოლეგების სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ დიდი სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენზე უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რაც გუშინ და დღეს ვნახეთ. მუშები საწარმოებში, სოფლის მეურნეობის მუშაკები, დაწესებულებათა თანამშრომლები — უაღრესად საქმიანი შრომისმოყვარე ადამიანები არიან.

განცვიფრებული ვართ, რომ თქვენს პატარა რესპუბლიკაში ამდენი სპეციალისტი და ასე ბევრი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ახალგაზრდობა სწავლობს. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ შეგვიძლია ვისწავლოთ თქვენგან. ეს ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა კავშირი აღმშენებლობითს შრომას ეწევა მშვიდობის საკეთილდღეოდ. ვფიქრობ, რომ ისინი, ვინც ჯერ კიდევ არ ყოფილა საბჭოთა კავშირის ნამდვილი მეგობარი, მის გულწრფელ მეგობრებად დაბრუნდებიან შინ.

საუზმეზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი.

— როგორც გავიგე, — თქვა მან, — დღეს წმინდა იოსების დღე, დოქტორ იოზეფ კლაუსის დღეობა ყოფილა. ნება მიბოძეთ ვისარგებლო ამ შემთხვევით და ვუსურვო დოქტორ იოზეფ კლაუსს ჯანმრთელობა, ბედნიერება, დიდი წარმატებანი მოღვაწეობაში.

ამ სიტყვებს დამაწერინა ტაშით შეხვდნენ.

საუზმემ მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

ჩვენი პრესის ლენინური ტრადიციები

ПРАВДА

28 მარტის მოწინავე

„ამ დიად დღეებში აღორძინდება მუშათა გაზეთი. ამხანაგი მუშები, ამხანაგი ჯარისკაცები, ამხანაგი გლეხები — ყველანი, ვინც კითხულობდა „პრავდას“ და მხარს უჭერდა მას, შეხვდებიან როგორც ძველ მეგობარს. ახალი მეგობრებიც გაუჩნდებიან.

მუშათა გაზეთი „პრავდა“ რევოლუციური მუშათა კლასის ორგანო იყო თვითმპყრობელობის რეჟიმის მძიმე პირობებში.

მუშათა გაზეთი „პრავდა“ სამსახურს გაუწევს მუშათა კლასს რევოლუციის დღეებსა და თავისუფლების დღეებში“.

ასეთი სიტყვებით მიმართა ორმოცდაათი წლის წინათ — 1917 წლის 5(18) მარტს — თავის მკითხველებს „პრავდამ“, რომელმაც ამ დღეს კვლავ დაიწყო გამოსვლა თითქმის სამი წლის შეწყვეტის შემდეგ. „პრავდის“ გამოსვლის განახლებას მხურვალედ მიეხალმა ვ. ი. ლენინი. იგი მოუწოდებდა ყველა თანამებრძოლ ამხანაგს ეწერათ გაზეთში და თვითონ მაშინვე გამოაქვეყნა „პრავდაში“ თავისი პირველი „წერილი შორიდან“. ძნელი პერიოდის მანძილზე თებერვლიდან ოქტომბრამდე ლენინი თითქმის ყოველდღე ბეჭდავდა „პრავდაში“ სტატიებსა და წერილებს, მისი დახმარებით წარმართავდა პარტიას, მუშათა კლასს სოციალისტური რევოლუციისაკენ.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო. და საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე ჩვენი პრესა ერთგულად ემსახურება პარტიასა და ხალხს. საბჭოთა პრესის საერთო დღესასწაული იყო ამ დღეებში გაზეთ „იზვესტიის“ 50 წლისთავის ფართოდ აღნიშვნა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში გაზეთ „იზვესტიისადმი“, საზეიმო სხდომაზე გამოსვლებში ხაზგასმული იყო პრესის დიდი დამსახურება.

— „პრავდა“, „იზვესტია“ და ჩვენი პრესის სხვა ორგანოები, საბჭოთა რადიო და ტელევიზია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხალხის აღზრდის, პარტიის იდეების პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა, ჩვენი საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმის საშუალებაა. საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ეს არის საშუალება, რომლის მეშვეობით ჩვენი პარტია. ყოველდღიურად ესაუბრება მასებს, ეთათბირება, პოლიტიკურად ანათლებს მათ, რაზმავს მათს შემოქმედებითს ძალებს და ამით აადვილებს თავისი პოლიტიკის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებას.

მიმდინარე საიუბილეო საბჭოთა წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი პრესისათვის. ღრმად და მკაფიოდ უნდა ვუჩვენებდეთ სოციალიზმის შემოქმედებითს ძლიერებას, საბჭოთა კავშირის ხალხების თვალსაჩინო მოღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში, დაუცხრომლად ვავითარებდეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ვრაზმავდეთ მათ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ბევრი გაზეთი წარმატებით უძღვება საქმეს, გამოდის ნამდვილ კოლექტიურ პროპაგანდისტად, აგიტატორად და ორგანიზატორად. მაგალითად, „ლენინგრადსკაია პრავდის“ ჟურნალისტებმა გამონახეს თავიანთი ქალაქის რევოლუციური ისტორიის პროპაგანდის მოხერხებული ფორმები რუბრიკებით „ოქტომბრისადმი მიძღვნილი საღამოები სმოლნში, „რევოლუციური რაზმების მარშრუტებით“ და სხვ.. ბევრ საინტერესო გამოსვლას, რომლებიც ვ. ი. ლენინის სამშობლოს რევოლუციურ ისტორიას აკავშირებს ვოლგისპირეთის დღევანდელ დღეებთან, აქვეყნებს „ულიანოვსკაია პრავდა“. მოფიქრებულად, შემოქმედებითად მუშაობს კოლექტივი „მარიიისკაია პრავდისა“, სადაც რეგულარულად იბეჭდება მასალები იმ მკვეთრი ცვლილებების შესახებ, რომლებიც მარილი ხალხის ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მკითხველებს ახარებენ თავიანთი გამოსვლებით „პრავდა უკრაინი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოვეტსკაია კუბანი“ და სხვა გაზეთები.

მუდმივ ყურადღებას, მეცნიერულად დაბუთებულ მიდგომას, მაღალ ეურნალისტურ ოსტატობას მოითხოვს დღეს ეკონომიური პრობლემების გაშუქება. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება საფუძვლად უდევს ჩვენი საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, და ბუნებრივია, რომ გაზეთები მრავალმხრივ ამუშავებენ ეკონომიური მშენებლობის საკითხებს. პრესის ფურცლებზე ახლა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს შეჯიბრება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად. ოპერატიულად, შინაარსიანად აშუქებენ ამ თემას გაზეთები „ვეჩერნაია მოსკვა“, „სოვეტსკაია ბელორუსია“, „ურალსკი რაბოჩი“ და სხვები. პრესის ბევრ ორგანოში ქვეყნდება ცალკეული კოლექტივების, რაიონების, ოლქებისა და რესპუბლიკების სოციალისტური ვალდებულებანი. მაგრამ ვალდებულებათა დაბეჭდვა ხაჭის მხოლოდ დასაწყისია. ყოველდღე უნდა ვუჩვენებდეთ, თუ როგორ სრულდება ის, რაც დასახულია, მხარს ვუჭერდეთ მოწინავეთა ინიციატივას, მწვავედ ვილაშქრებდეთ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას. არა პარადული ხმაური, არამედ მეურნეობის გაძლოლის მეთოდების ღრმად ჩვენება, რეზერვების ძიება, ზრუნვა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის — აი რა მოეთხოვება პრესას. ფრიად საჭიროა ყოველმხრივ ვაშუქებდეთ ეკონომიური რეფორმის მსვლელობას, განვაზოგადებდეთ ახალ პირობებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკას. ვზრდიდეთ მასებს ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით ცხოვრების ყველა დარგიდან, ვიბრძოდეთ ახლის დამკვიდრებისათვის მთელ ყოველდღიურ მუშაობაში — ეს ლენინური ანდერძი ახლა განსაკუთრებით აქტუალურია.

ჩვენი პრესის მტკიცე ტრადიციაა საზოგადოებრიობაზე დაყრდნობა, მკითხველებთან კავშირის დაუცხრომლად განმტკიცება. მშრომელთა სტატიები და წერილები, რომლებიც ფართო ნაკადად მიდის გაზეთების რედაქციებში, მასების უმდიდრეს გამოცდილებას შეიცავენ, და უკეთ უნდა გამოვიყენოთ თემების, ცხოვრებისეული მასალის, ხალხური სიბრძნის ეს ჭეშმარიტად დაუშრეტელი წყარო. მაგრამ ამ ბოლო დროს ზოგიერთმა რედაქციამ შეიანელა ყურადღება წერილებისადმი. ახლა კი, სახელოვანი იუბილეს წინ, მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლების ხმა მთელი ძალით უნდა გაისმოდეს გაზეთის ფურცლებიდან.

დიდი და მრავალფეროვანია ჩვენი პრესის ამოცანები. პარტიის იდეოლოგიური მებრძოლები მოწოდებული არიან მაღლა ეჭიროთ მარქსისტულ-ლენინური იდეების დროშა, განმარტავდნენ და პროპაგანდას უწევდნენ კომუნისტურ იდეალებს. აქტიურად იგერიებდნენ იმპერიალიზმის პროპაგანდისტულ შეტევებს, განუწყვეტლივ და დაჯერებით უტევდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეების პოზიციებს იდეოლოგიურ ფრონტზე.

„მე, ძველმა გაზეთის მუშაკმა, ვიცი, — წერდა ა. მ. გორკი, — რა ბევრი ნერვების ენერგიაა საჭირო საგაზეთო მუშაობისათვის საბჭოების კავშირის ქვეყანაში ახალი ისტორიის შექმნის ჩვენს დიად დღეებში, იმიტომ რომ ჩვენს ქვეყანაში მძლავრად გაშლილი შრომის ძირითადი აზრია სწორედ კაცობრიობის ახალი ისტორიის შექმნა. ამ გაბედულ მუშაობაში თქვენი როლი, ამხანაგნო, ერთ-ერთი პირველია...“

შეგნებული აქვთ რა თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, ჩვენი პრესა, ყველა საბჭოთა ეურნალისტი კვლავაც ერთგული იქნებიან ლენინური ტრადიციებისა, მთელ ძალებსა და ცოდნას, თავიანთ პროფესიულ ოსტატობასა და თავიანთი გულის მგზნებარებას მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ქართველ მეცნიერთა სტუმრები

20 მარტს თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი აკადემიკოსი ა. ა. ალექსანდროვი, ბიოქიმიის, ბიოფიზიკისა და ფიზიოლოგიურად აქტიური შენაერთთა ქიმიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი აკადემიკოსი მ. მ. შემიაკინი, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დ. ნოვიკოვი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო-ორგანიზაციული განყოფილების უფროსი ვ. ა. ფილიპოვი.

მეცნიერები გაეცნობიან კვლევას, რომელიც წარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, ეწვევიან აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს. (საქდესი).

სურათზე: მარცხნიდან — მ. შემიაკინი, რ. დვალი, ა. ფილიპოვი, ე. ანდრონიკაშვილი, მ. კელდიში, ვ. ნოვიკოვი, ს. ლურმიშიძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. წერეთელი, ვ. კუპრაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სსრ კავშირში ამხ. ნიკოლაე ჩაუშესკუს ყოფნის გამო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 17-18 მარტს მოსკოვში მეგობრობის ვიზიტით იყვნენ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ნიკოლაე ჩაუშესკუ და მისი თანმხლები პირნი — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. გ. მაურერი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნიკულესკუ-მიზილი.

ამხანაგები ნ. ჩაუშესკუ, ი. გ. მაურერი და პ. ნიკულესკუ-მიზილი ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ა. ნ. კოსიგინს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ი. ვ. ანდროპოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხ. ა. ა. გრომიკოს.

საუბრების დროს, რომლებიც გულახდილობის, ამხანაგობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის ევროპის უშიშროების საკითხზე.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობა, და განაცხადეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოონ და განმტკიცონ სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის ინტერესებისათვის, აქტიურად იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

ხალხმა ხმა მისცა საშოგლოს წინსვლას, ბედნიერებას

ერთიანი
ინტერნაციონალისტური

თბილისი, გაზაფხული, არჩევნები

◆

რეპორტაჟი

◆

ამ სურათზე აღბეჟდილია კალინინის რაიონის № 16 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი ხმის მიცემის შემდეგ (მარჯვნიდან): რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის დირექტორი გ. ხატიაშვილი, სტუდენტი თ. მაჭავარიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი დ. მჭედლიძე, სტუდენტები ზ. ბერულავა და ლ. ჩიქოვანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მომაკვალზე ფიქრით

რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელები, რომლებიც საიუბილეო ვახტს ეწევიან, სასახელო გამარჯვებებით შეხვდნენ არჩევნებს. რეზინის ნაკეთობების, საკოსერვო, რძის ქარხნების, ბამბეულის საქსოვი, № 8 სამკერვალო ფაბრიკების, ხორცკომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა გაანაღდეს პირველი კვარტალის დავალება.

19 მარტს ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა სადღესასწაულოდ მორთულმა ქალაქმა. ხალხი გამოეფინა მის ქუჩებსა და მოედნებში. კაშკაშა, მზიანმა დილამ ეცხი და სილამაზე შემატა სავარდო და სამაისო ქუთაისს.

დილის 6 საათზე გაიღო ყველა 57 საარჩევნო უბნის კარები. თავისი სახელმწიფოს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი 93 ათასი ადამიანი მივიდა საარჩევნო ყუთებთან მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად.

რუსთაველის პროსპექტის ბოლოს სანატორიუმ „ქუთაის-წყალტუბოს" ერთ-ერთ კორპუსში № 7 საარჩევნო უბანია. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. მამაგეიშვილმა არჩევნების დაწყება მიულოცა ამომრჩეველს და ხმის მისაცემად მიიწვია ისინი. ბიულეტენებს პირველნი იღებენ ერთ სახლში მცხოვრები ახალგაზრდა ამომრჩეველები საავტომობილო ქარხნის მუშა ფირუზ მამაგეიშვილი, აღმრიცხველი თამარ სანტურიანი და სტუდენტი მურად დუნდუა. ისინი ერთად მოვიდნენ ხმის მისაცემად და ბიულეტენების ყუთში ჩაშვებისას სიამაყით განაცხადეს:

— ჩვენ პირველად ვაძლევთ ხმას ხალხის რჩეულებს. ამით ხმას ვაძლევთ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას, კაცობრიობის მარადიულ გაზაფხულს, სიხარულსა და მშვიდობას.

ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა კლუბისაკენ, სადაც მე-19 საარჩევნო უბანია მოთავსებული, დილიდანვე უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ ამომრჩეველები. ლ. გეგუჩაძემ, მ. მიხაილოვმა, ი. პისარენკომ, ვ. ალექსანდროვიჩმა, კ. არხანიანმა, დ. კირაკიდმ — სულ 16 ეროვნების წარმომადგენლებმა მისცეს ხმა თავიანთ თანამოქალაქეებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ელექტრომექანიკური ქარხნის მემოდელეს ანტონ ყანჩელს, ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს — მტვიფრავ ნ. ენდელაძეს, ხიდური ამწის მემანქანე ნ. ახობაძეს, მეკოპეებს ნ. ქარჩხავაძეს და ნ. ცირეკიძეს, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ო. კობერიძეს, 31-ე საშუალო სკოლის დირექტორს მ. გველესიანს.

№ 5 საარჩევნო უბანში ხმა მისცა მძღოლმა — გამომცდელმა ბორის ვაშაკიძემ, ვინც ამ თექვსმეტი წლის წინათ კონვეიერიდან გადმოიყვანა პირველი ქართული ავტომობილი. აქვე მთელი თავისი დიდი ოჯახით მოვიდა ვეტერანი ავტომშენებელი თერმული საამქროს თერმისტი ვენედიქტე გურეშიძე.

უკლებლივ ყველა ამომრჩეველმა მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი. ქუთაისმა ხმა მისცა მუშათა კლასის, ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა საკუთარი წარმომადგენლებს, ხალხის რჩეულებს.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

მტრედისფრად ინათა. სიბნელე ნელ-ნელა მიიპარება თბილისის ქუჩებიდან. კვირას, როგორც წესი, გვიან იღვიძებს დედაქალაქი. მაგრამ 19 მარტს ჩვეულებრივზე ადრე ამბაურდა თბილისის ქუჩები. ყველგან მხიარული განწყობილება სუფევდა... შორიდანაც კარგად ჩანდა საარჩევნო უბნების გაჩირაღდნებული ფანჯრები.

აი ერთ-ერთი — № 2 საქარხნო ოლქის № 9 საარჩევნო უბანი. იგი თბილისის ლენინის სახელობის რაიონში მდებარეობს, რომელიც ლამაზ, კოხტად წამოკიმულ საბავშვო ბაღის ორსართულიან შენობაშია მოთავსებული. ეს ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლება საერთოდ არ არსებობდა თბილისის რუკაზე ჩვენი რესპუბლიკის წინა არჩევნების დროს. იგი სულ რაღაც სამოოდე წელიწადს ითვლის. მაგრამ მიბრძანდით და ნახეთ, როგორ დამშვენებულა ხრიოკი ზეგანი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, სკოლებით, საბავშვო ბაღებით, კინოთეატრებით, მაღაზიებით, კლუბებით, სპორტული მოედნებით, სკვერებით, ბაღებით.

ჯერ დილის 6 საათი არ იყო. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს კამვოლური დართვის ფაბრიკის მთავარი ინჟინრის მოადგილეს ნექტარ ხურციას ჯერ კიდევ არ მიეღოცა ამომრჩეველთათვის არჩევნების დაწყება, მაგრამ საარჩევნო უბანთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი. ყველას უნდოდა პირველს აეღო საარჩევნო ბიულეტენები. აქ კენჭს იყრიდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მეჟავანაძე, საქალაქო საბჭოს დეპუტატად შამპანური ღვინოების კომბინატის მოწინავე მუშა ვენერა დემეტრაშვილი, სარაიონო საბჭოს დეპუტატად ქარხანა „ელექტროგამშვების" დირექტორი გიორგი დევდარიანი.

პირველმა საარჩევნო ბიულეტენები თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა სვეტლანა ბახიამ აიღო. მას ახლახან შეუსრულდა 18 წელი. იგი დღეს პირველად იღებდა მონაწილეობას ამ დიდ სახალხო ზეიმში.

მეორე კი თბილისის მეექვსე სამშენებლო სამმართველოს მუშა ხარიტონ საკუროვი იყო. იგი საბჭოთა არმიის რიგებიდან შარშან დაბრუნდა. ჯარშიც თავი გამოიჩინა როგორც დისციპლინიანმა, ენერგიულმა მებრძოლმა, საბრძოლო მომზადების ფრიადოსანმა, შრომაშიც მოწინავეა: მშენებლობაზე გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს, მის შესრულებულ სამუშაოებს წუნს ვერ დადებთ.

დიახსალსლამ სვეტლანა ქუთათელაძემ, როცა ხმა მისცა, თქვა: მე ამით ხმას ვაძლევ ჩემი ოჯახის, ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობას. ამით ხმას ვაძლევ ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, ხმას ვაძლევ ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებასა და ძლიერებას.

ყოველ წუთობით უფრო მეტი ხალხი იკრიბება საარჩევნო უბნებში. ორჯოტალობაზე ტყავის მეორე ფაბრიკის კონტროლიორს რევაზ ზაქარეიშვილს.

ამ საარჩევნო უბანში 2.135 ამომრჩეველია, — განაცხადა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კურორტოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსი რობაქიძემ, — უკვე 12 საათია და ხმა მიცემული აქვს 2.068 ამომრჩეველს. ყველა ისინი სიამოვნებით აძლევდნენ ხმას.

როცა თბილისს ბინდი მოეფინა და ქუჩები ელექტრონებმა გააკაშკაშეს, მივედით კალინინის რაიონის № 10 საარჩევნო უბანში, რომლის თავმჯდომარეა ორმოცდამეორე საშუალო სკოლის დირექტორი ოთარ ღაღანიძე.

ხმა მისცეს უკანასკნელმა ამომრჩეველებმა. საარჩევნო უბანში არ ისმის ყრიამული, სიწყნარეა, იწყრება ხმის მიცემის უკანასკნელი წუთები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომელთა რიცხვი ათი იყო, მოგროვდნენ მაგიდის ირგვლივ. საღამოს ათი საათია. გახსნეს დალუქული წითელი ყუთი. თეთრმა და ცისფერმა ბიულეტენებმა მაგიდა დაფარა.

ხალხმა ერთხმად მისცა ხმა ჩვენი პარლამენტის მომავალ წევრებს.

ეს იყო საბჭოთა დემოკრატიის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება. ხალხმა იზეიმა დიდი სახალხო დღესასწაული.

ბ. ბახტურიძე.

თბილისის პირველი მაისის რაიონის № 7 საარჩევნო უბანი. ხმას აძლევენ მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშები (მარცხნიდან მარჯვნივ) მრთველი ვ. მწიფურიძე, მქსოველი ნ. მაღლაკელიძე, მგრეხავი ზ. ასლამაზოვა, მქსოველი ზ. შაუულაშვილი, მქსელავი ლ. კვეტკინა და პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ნ. აიბა.

ფოტო ს. კალაძისა.

ერთსულოვნება, დარაზმულობა

გუშინ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ამომრჩევლებთან

ოცდაათ წელზე მეტია, რაც გრიგოლ ნაკაიძეს საბარგო და სახალხო მატარებლები დაყავს. თითქმის ყოველდღე უხდება მას აფხაზეთის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა, მის თვალწინ როგორც წიგნის ფურცლები ისე იშლება შავიზღვისპირეთის ამ ულამაზესი მხარის გუმინდელი და დღევანდელი დღე.

იქ, სადაც ორმოცდაათი წლის წინათ ფაჭობებული ველ-მინდვრები იყო, დღეს ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს პლანტაციები და ბაღ-ვენახებია გადაშლილი. სულ უფრო მშვენდება და ლამაზდება აფხაზეთის ქალაქები და სოფლები.

აფხაზეთის კურორტები მსოფლიოში ცნობილი გახდნენ. აქაურ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბაზებსა და პანსიონატებში, ყოველწლიურად 250 ათასზე მეტი საბჭოთა მშრომელი ისვენებს.

დღეს გრიგოლ ნაკაიძე რკინიგზელთა კულტურის სახლში, სადაც ამომრჩეველთა უბანია, მოწყობილი, ღამის ცვლიდან მოგვიდა.

— ბედნიერი ვარ, რომ ხალხის რჩეული, ღირსეულ ადამიანებს ეძლევა ხმას, — განაცხადა მან.

ასე მსჯელობდა ამ დღეს სოხუმის ამ სწრაფად მზარდი სამრეწველო უბნის ყოველი ამომრჩეველი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე აქ კენჭი იყარა ნოვატორმა ელმავლის მემანქანემ სულეიმან ოდილავაძემ, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში კი ცნობილმა აფხაზმა მწერალმა ივანე პაპასკირმა. სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აქ ირჩევდნენ მოწინავე ადამიანებს — მშენებელ მუშას ნინო ბორისენკოს და ხარატ ზურაბ გაბუნიას.

აფხაზეთის ყველა საარჩევნო უბანში გაზაფხულის ამ მზიან დღეს უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა.

გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარის ამომრჩეველთა კლუბი საზეიმოდ იყო მორთული. აქ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ოთხარელ კოლმეურნეები თავიანთ თანასოფელს ბაბუსია უკბას ირჩევდნენ.

ორგანიზებულად, ნამდვილი ზეიმის, ხალხის ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა არჩევნებმა აფხაზეთში. ამ დღეს აფხაზეთის მშრომელებთან ერთად ხალხის რჩეულებს ხმა მისცეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა დამსვენებლებმა და ტურისტებმა.

უკვე დღის პირველი ნახევრისათვის თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოხდილი ჰქონდა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტს.

ი. გოგბეჩია,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ბარი მარტო გაზაფხულის პირველი თვეა, არამედ მარადიული გაზაფხულის თვეც. ოქტომბრის მეჩვიდმეტე აჭარაში 1921 წლის 18 მარტს შემოვანათა. გასულ სამშაბათს აჭარის მოსახლეობამ ზეიმითა და ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 46-ე წლისთავი. დღეს კი ხმა მისცეს ხალხის ღირსეულ შვილებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

აჭარის მშრომელები ხელდამშვენებულნი შეხვდნენ არჩევნებს. მწყობრში ჩადგა ათობით ახალი სკოლა, კულტურის სახლები, საავადმყოფოები, გაშენდა ახალი ბაღები და პლანტაციები, საექსპლოატაციოდ გადაეცა ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო შარშან აჭარის სახელოვანმა კოლმეურნეებმა გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 14 ათასი ტონით მეტი ციტრუსები და 1.500 ტონით მეტი ჩაი, ხოლო მრეწველობის მუშაკებმა მილიონობით მანეთის პროდუქცია.

დილაა. ცისკიდური ალისფერად იღებება, ეტყობა, ხალისიანი დღე თენდება. სანპიროზე უკვე ხალხი გამოფენილა. საარჩევნო უბნისაკენ მიეშურებიან.

ბიულეტენებს იღებს ბრგე, ოდნავ მზედაკარული მამაკაცი. იგი მეზღვაურია — ლოცმანი ვალენტინ მოისწრაფიშვილი.

— ჩემი ხომალდი ამჟამად ნოვოროსიისკის საზღვაო-სანაოსნოზეა მიწერილი. შვებულებას მშობლიურ ბათუმში ვატარებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი — საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ლ. უკლებას, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატი, კოლეინის ქარხნის დირექტორის ა. ონაშვილის დამსახურება ჩემთვის ცნობილია, ამიტომაც მათ ხალისით ვაძლევ ხმას. ვცდილობ თავდადებული შრომით მეც მოწონაზეთა რიგებში ვიყო, — ამბობს ვ. მოისწრაფიშვილი.

შაფთალა ცქრიალა ქალიშვილი მღელვარებით მიუახლოვდა ბიულეტენების მაგიდას. ეტყობოდა, არჩევნებში პირველად იღებდა მონაწილეობას.

— სატვირთო საამქროს ექსპედიტორია, ლუიზა ჯანელიძე, — გამაცნო ბათუმის ნავსადგურის უფროსის მოადგილემ ზ. ტუსკიამ, — ენერგიული შრომით გაითქვა სახელი. საარჩევნო კომპანიაშიც აქტიურად გვეხმარებოდა.

შექებით დამორცხვებული ქალიშვილი დინჯი ნაბიჯით გაემართა საარჩევნო ყუთისაკენ.

საზეიმო განწყობილებაა ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც საარჩევნო უბანია. აქ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის შ. მახაძე.

— შეხედეთ, რას დაეძებენ ჩვენი სოფელი, — ამბობს 70 წლის კოლმეურნე მემეფე მანელიშვილი, — ჩვენმა თავმჯდომარემ საქვეყნოდ დაიმსახურა იყოს ხალხის წარმომადგენელი უმაღლეს საბჭოში.

ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდელებში სახარულით მისცეს ხმა სახელოვან მეჩაიეს და მეთამბაქოეს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს მერიმე დიდმანიძეს.

დღის 12 საათისათვის ამომრჩეველთა 90 პროცენტს აჭარაში უკვე მიცემული ჰქონდა ხმა.

ხმის მიცემა ადრე დამთავრდა, მაგრამ ზეიმი გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

მ. გორგილაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ცხინვალი. გასული კვირა ზამთრის დღეს ჰგავდა. თოვლი ფანტელებად მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად საარჩევნო უბნებისაკენ მიემართებოდა.

ნიკოძის რაიონის № 45 საარჩევნო უბანი პავლოვის ქუჩაზე მდებარეობს. გულდიდ ხედება ამომრჩევლებს საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე ამბროსი გველესიანი. საარჩევნო უბანში თავის მოქალაქეობრივი უფლების მოსახდელად მოვიდნენ დოცენტი რაფიელ ხარბედია და მისი ოჯახის წევრები — მეუღლე მარგალიტა და ქალიშვილი მარიეტა. მათ ერთსულოვნად მისცეს ხმა დეპუტატობის კანდიდატებს.

თვითონ რაფიელმა კი თქვა: მე არ შემეძლო დღევანდელ დღეს შინ ყოფილიყავი და მესარგებლა „გვიან ადგომის" უფლებით. გამოვეშურე აქეთ ოჯახის წევრებთან ერთად, რათა პირნათლად მოგვეხადა ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი, რომელსაც ვასრულებთ ამის შეგნებით, რომ ჩვენი დეპუტატობის კანდიდატები არიან უპარტიოებისა და კომუნისტების ბლოკის საუკეთესო წარმომადგენლები.

ხიხარულს ვერ მალავდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი რუსუდან ზაბახიძე. მას ხომ კონსტიტუციით წელს მიენიჭა უფლება მონაწილეობა მიეღო საბჭოთა პარლამენტის წარმომადგენელთა არჩევნებში.

ამ უბანში არჩევნების დაწყებიდან ორი საათის შემდეგ ხმა მიცემული ჰქონდა 810 კაცს.

აი კიროვის რაიონის № 8 საარჩევნო უბანი, ერთ-ერთი ჩვენი რესპუბლიკის 400 საარჩევნო უბნიდან. დღის 12 საათი იყო, როცა იქ მივედით. ამომრჩევლები კენტიკუნტად ჩანდნენ. ხმას აძლევდნენ ცოლ-ქმარი ლილი და კლიმენტი მჭედლიძეები. თან შვიდი წლის ბიჭუნა ახლდათ. მათ კმაყოფილებით მისცეს ხმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თავმჯდომარეს ვახტანგ გაჩეჩილაძეს და რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე ტყავის მეორე ფაბრიკის კონტროლიორს რევაზ ზაქარეიშვილს.

ამ საარჩევნო უბანში 2.135 ამომრჩეველია, — განაცხადა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კურორტოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსი რობაქიძემ, — უკვე 12 საათია და ხმა მიცემული აქვს 2.068 ამომრჩეველს. ყველა ისინი სიამოვნებით აძლევდნენ ხმას.

როცა თბილისს ბინდი მოეფინა და ქუჩები ელექტრონებმა გააკაშკაშეს, მივედით კალინინის რაიონის № 10 საარჩევნო უბანში, რომლის თავმჯდომარეა ორმოცდამეორე საშუალო სკოლის დირექტორი ოთარ ღაღანიძე.

ხმა მისცეს უკანასკნელმა ამომრჩეველებმა. საარჩევნო უბანში არ ისმის ყრიამული, სიწყნარეა, იწყრება ხმის მიცემის უკანასკნელი წუთები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომელთა რიცხვი ათი იყო, მოგროვდნენ მაგიდის ირგვლივ. საღამოს ათი საათია. გახსნეს დალუქული წითელი ყუთი. თეთრმა და ცისფერმა ბიულეტენებმა მაგიდა დაფარა.

ხალხმა ერთხმად მისცა ხმა ჩვენი პარლამენტის მომავალ წევრებს.

ეს იყო საბჭოთა დემოკრატიის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება. ხალხმა იზეიმა დიდი სახალხო დღესასწაული.

ბ. ბახტურიძე.

ეროვნული ინტერნაციონალიზმი

საყოველთაო სიხარული

ადრე გაიღვიძეს მთებმა ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში. ჯერ კარგად გათენებული არ იყო, საარჩევნო უბნებისაკენ ხალხი რომ დაიძრა. მოდიოდნენ ქვეითად და ცხენებით, ავტომობილებით და მოტოციკლებით. დათოვლილ გზებსა და ბილიკებზე გაიარა ასობით ამომრჩეველმა, რათა ხმა მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის ღირსეული კანდიდატებისათვის.

დილის 6 საათზე არაგვისპირის (დუშეთის რაიონი) საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. გულიშვილმა კენჭისყრა დაწყებულად გამოაცხადა. ბიულეტენები პირველმა მიიღეს მოწინავე მწვალვებმა სონინა შვილმა და ნარგიზ ყარამიზანაშვილმა, ისინი ბედნიერი ღიმილით აძლევენ ხმას თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს.

საარჩევნო უბანში მოვიდა ოთხმოცი წლის პენსიონერი კოლმეურნეობა კახურაშვილი. მას მიუყვნენ ლილი ლოთიკაშვილი და გრიგოლ თანაშვილი. ამ ახალგაზრდებმა შარშან დაამთავრეს საშუალო სკოლა და სამუშაოდ კოლმეურნეობაში დარჩნენ. დღეს პირველად აძლევდნენ ხმას ხალხის რჩეულებს.

დილის ათ საათზე არაგვისპირელ ამომრჩეველთა უმრავლესობამ მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ამომრჩეველთა დიდი აქტივობა იგრძნობოდა მთის შორეულ სოფლებში — მლეთაში, გუდამაყარში, ბარისახოში, სადაც კენჭისყრა დღის 12 საათამდე დამთავრდა.

სოფელ შატილის ხაუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ივანე კუციამ რადიოთი გვაცნობა, რომ პირველი ხევსურეთში, მიუხედავად უამინდობისა, არჩევნები მიმდინარეობდა დიდი აღმავლობით, საარჩევნო უყუთებთან მოვიდნენ ხევსურები შორეული სოფლებიდან და სახარულით მისცეს ხმა ღირსეულ კანდიდატებს.

როგორც მიღებული ცნობებიდან ჩანს, არჩევნებმა დიდი წარმატებით ჩაიარა ნოლაის ხაძოვრებზე, სადაც ასობით ქართველი მწყემსი იმყოფება.

ზეიმისა და სიხარულის დღე — 19 მარტი დიდხანს ემახსოვრებათ ადამიანებს მთაში და ბარში.

ა. თომაძე.

ხალხის გულისთქმა

ციგ-გომბორის მთების ჩრდილოეთ კალთებზე დამკვიდრებულმა ქალაქმა თელავმა, რომელიც თვალწარმტაც ალაზნის ველს დასდგომია გუშაგად, კვირას ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა. ფართო ქუჩები ხალხით აივსო. მუსიკის ჰანგები კიდით კიდეზე აღწევს. ქალი, თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა საარჩევნო უბნებისაკენ მიიჩქარის. ყველას სურს, რომ პირველი მივიდეს და დიადი კონსტიტუციით მინიჭებული უფლება განახორციელოს.

დილის 6 საათია. რუსთაველის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვასილ არუდაშვილი მშრომელებს არჩევნების დაწყებას ულოცავს და საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად იწვევს. ხმის მისაცემად პირველნი მოდიან აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკის მუშები ლ. ჩალათაშვილი, მ. ჯამილაღდიშვილი, ზ. კანდელაკი, მ. კარაიტელი.

საარჩევნო ბიულეტენს იღებს 90 წლის მიღწეული გიორგი დაღუნდრიძე.

— სიკეთე გემატოთ, შვილებო, — ამბობს ბერიკაცი. — თელაველებს საამაყო უამრავი გვაქვს. გარდასულ ამბთა სიაციის მაღწყებელი ციხე-ბურჯების გვერდით ბევრი ძრავალსართულიანი შენობა აღმართია. ჭაღარა, მაგრამ მუდამ ჭაბუკმა თელავმა მხრები გაშალა. ეს ყველაფერი ჩვენმა საყვარელ ქალაქ მთავრობამ გაიკეთა. ალალი იყოს ჩემი ხმა იმათთვის, ვინც თავი დადო ხალხისათვის. იხარეთ, შვილებო, იხარეთ!

დილით საარჩევნო უბნებში ბევრი პატივცემული ადამიანი მივიდა. ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა ხმა მისცეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მშვიდობას.

დიდი ზეიმი იყო რაიონის სოფლებშიც. კურდღელაური. ამ სოფლის კოლმეურნეობა წარმატებით ამაყობს. შარშან სახელმწიფოს 1.210 ტონა ყურძენი, დიდძალი მარცვლეული, ხორცი, რძე, კვერცხი, ბოსტნეული მიჰყიდეს. ფულადმა შემოსავალმა 653 ათას მანეთს გადაამტა. გაცალებით მეტს მოელიან საიუბილეო წელს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. გიორგანაშვილი დილის 6 საათზე არჩევნებს დაწყებულად აცხადებს. გიო ბოკორიძემ საარჩევნო ბიულეტენი მიიღო და ყველას გასაგონად განაცხადა:

—75 წელს მივუკაკუნე, მაგრამ მუხლიც მიეარის და მკლავიც. ვაზზე მოვლა-პატრონობაში წინ არავის გავეშვებე. მიხარია, რომ ჩვენი საყვარელი სამშობლო წლითა-წლობით შენდება და მშვენდება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კიდევ უფრო ბედნიერად საამოდ ვიცხოვროთ. მე ხმას ვაძლევ იმათ, ვინც ძალღონეს არ ზოგავს, ხალხს კარგად ეხმახურება.

ი. სეხნიაშვილი, ნ. კვლიშვილი, მ. ორკოდაშვილი, ო. რინეიაშვილი, ნ. ბოკორიძე — რომელთ ერთი ვთქვათ, 1.144 კაცი და ქალი მივიდა საარჩევნო უბანში ხმა მისცა კომუნისტებსა და უპარტიოებს ბლოკის კანდიდატებს.

დილის ათი საათისათვის ამ რაიონის ყველა საარჩევნო უბანში ხმა მიეცემა ძირითადად დამთავრებული იყო.

ს. ძოწილაძე.

ავსტრიის ფედერალური კანცლერი თბილისში

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა იოზეფ კლაუსმა, საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა დოქტორმა ლეონ ტონჰიჩ-ზორინმა, სხვა ავსტრიელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გასული კვირადღე მიუძღვნეს თბილისის ცხოვრების გაცნობას.

სტუმრები ეწვივნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მუზეუმის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ი. ამირანაშვილმა მათ უჩვენა ძველი ქართული ხელნაწერების ოსტატთა ნამუშევრები. სტუმრებმა განსაკუთრებული ინტერესით დათვალიერეს ქართული ოქრომჭედლობის ნაწარმოები, საქვეყნოდ გახმაურებული ქართული ტიხრული მინანქრის უმდიდრესი კოლექციები. ეს ექსპონატები, თქვა დოქტორმა იოზეფ კლაუსმა, საუკეთესოდ ახასიათებენ საქართველოს შესანიშნავ ხელოვნებას.

მუზეუმში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ლ. პ. ლიკოვი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ბ. ფ. პოდცერობი.

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა იოზეფ კლაუსმა მოისურვა წასვლა კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც მოისმინა წირვა.

ავსტრიელი ხალხის წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მცხეთამ. მათ დიდი ყურადღებით დათვალიერეს სვეტიცხოველი და მცხეთის ჯვარი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ხუროთმოძღვრების ეს უძვირფასესი ძეგლები შეადგენენ ქართველი ხალხის დიდებას, — აღნიშნა დოქტორმა ი. კლაუსმა. ავსტრიელმა ფოტოკორესპონდენტებმა, კინოსა და ტელევიზიის ოპერატორებმა ფირზე აღბეჭდეს ძველ ქართული არქიტექტურის მონუმენტური ნაგებობანი.

ავსტრიის მთავრობის მეთაური და მისი თანმხლები პირნი იყვნენ ჩაის სასლში. მასპინძლებმა ისინი მიიწვიეს ჭიქა ჩაიზე სადეგუსტაციო დარბაზში. „შინ დაეკბენით თქვენი ქართული შეანშნავი-სურნელოვანი ჩაით", — თქვეს სტუმრებმა, რომლებსაც მიართვეს ქართველ მეჩაიეთა საჩუქრები. (საქდესი).

19 მარტს საღამოს ხაქართველოს დედაქალაქის მცხოვრებნი გულთბილად გამოეთხოვნენ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს დოქტორ იოზეფ კლაუსს, რომელიც მოსკოვს გაემგზავრა.

ქუჩები, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟი მიემართება, მორთულია ავსტრიის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. ირგვლივ ფრიალებენ გერმანულ, რუსულ და ქართულ ენებზე დაწერილი ლოზუნგები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ნეიტრალური ავსტრიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!", „სალამი მეგობარი ავსტრიის წარმომადგენლებს!".

აეროდრომზე ასობით თბილისელი შეიკრიბა. ფლაგშტოკებზე ავსტრიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები ფრიალებენ. აქ მოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯაფარიძეები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ნ. ინაური, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. გომელაური, ე. მ. ჯაფარიძე, ვ. მ. სირაძე, თბილისის მმრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ვ. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ვ. ჭარაქაძე, საქართველოს სსრ მინისტრები მ. ბ. ღვინჯილია, ა. ა. გიგოშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ე. მელაძე, ლ. ა. საყვარელიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, მ. ე. თოფურიძე, ვ. ზ. თოხაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე და სხვები.

დოქტორმა იოზეფ კლაუსმა მაგრად ჩამოართვა ხელი გამცილებლებს, რომლებმაც გზა მშვიდობისა უსურვეს კანცლერსა და მის თანამგზავრებს.

მოსკოვს გაემგზავრნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი. (საქდესი).

ავსტრიის ფედერალური კანცლ

საერთაშორისო სხივრეკა

უ ტ ა ნ ი ს წ ე რ ი ლ ი

ჟენევა, 20 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მტკიცედ სწამს, რომ რასობრივი დისკრიმინაცია და აპარტეიდი ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა და სამართლიანობის უარყოფას, აგრეთვე ადამიანური ღირსების შეურაცხყოფას ნიშნავს. ეს ნათქვამია წერილში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიას რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ დღეს 21 მარტს აღნიშნავს. შვიდი წლის წინათ სწორედ ამ დღეს სამხრეთ აფრიკის რასისტმა ხელისუფლებამ დახვრიტეს აფრიკელთა დემონსტრაცია, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს ფერვორდის მთავრობის ანტიდემოკრატიული კანონების წინააღმდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ რასობრივი დისკრიმინაცია და აპარტეიდი სერიოზული დაბრკოლებაა ხალხთა ეკონომიური და სოციალური განვითარების გზაზე, საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის გზაზე.

ხვალ ჟენევაში გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის საზეიმო სხდომა, რომელიც ამ დღეს მიეძღვნება.

მთელი ხალხი შეინთან ერთად, ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის კვირეულის შედეგების გამო

საბჭოთა კავშირში დამთავრდა მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის კვირეული, რომელიც მოეწყო 13-დან 19 მარტამდე აფრიკა-აზიის სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს ნიქროის მერვე სესიის გადაწყვეტილებით. ამ დღეებში კიდევ ერთხელ მთელი ძალით გაისმა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ხმა, რომლებიც გმობენ ამერიკელ აგრესორთა ახალ სისხლიან დანაშაულს ვიეტნამში.

კვირეულის დროს, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ი. დოლიძემ, საბჭოთა ხალხმა კვლავ ცხადყო, რომ მტკიცე სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმისათვის, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები. მრავალტანჯული ვიეტნამის მიწა-წყლიდან, იბრძოიან, რომ ვიეტნამელ ხალხს მიეცეს უფლება თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ქვეყნის ბედი.

მოკავშირე რესპუბლიკათა ყველა დედაქალაქში — ბაკოში, მინსკში, კიშინიოვში, ტალინში, თბილისში, ერევანსა და სხვა ქალაქებში, უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში — ლენინგრადში, ხარკოვში, ნოვოსიბირსკში — გაიმართა მოძმე ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის საერთო საქალაქო მატინგები. მიტინგების მონაწილეებმა გამოხატეს ყველა საბჭოთა ადამიანის ნებასურვილი და მოითხოვეს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტოს დანაშაულებრივი აგრესია ვიეტნამში, შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა და აგრესიის სხვა აქტები მშვიდობიმოყვარე ხალხის წინააღმდეგ.

გაიმართა აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმმა ერთსულოვნად მოიწონა ნიქროის სესიის გადაწყვეტილებანი და ეს გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაუდო თავის პრაქტიკულ საქმიანობას უახლოესი პერიოდისათვის.

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ჩეხოსლოვაკიის ვიეტნამისადმი მხარდაჭერის საბჭოთა კომიტეტის პირველი სხდომა. ეს კომიტეტი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეების მოთხოვნით. სხდომაზე შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მიზნად ისახავს ვიეტნამთან სოლიდარობის საყოველთაო სახალხო კამპანიის განმტკიცებასა და განვითარებას.

უპირველესი მნიშვნელობის მოვლენა იყო მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელმაც მკაფიოდ დაადასტურა, რომ საბჭოთა ხალხს გადაწყვეტილი აქვს მომავალშიც გაუწიოს ყოველმხრივი და ქმედითი დახმარება ვიეტნამელ ძმებს. კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მოლიანად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია დახმაროს ვიეტნამს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსკოველთა მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე ახლოგელი და ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, რომლებსაც მტკიცედ სწამთ, რომ ვიეტსამელი ხალხი გაანადგურებს თავსედ აგრესორს.

დასასრულ დ. ი. დოლიძემ თქვა: წარსული კვირეული მოწმობს, რომ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები სულ უფრო უშერეს მხარს მებრძოლ ვიეტნამს, სულ უფრო მტკიცე და ძლერ სოლიდარობას უცხადებს მას დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი. (საკდესი).

გუამის თათბირის გამო

ნიუ-იორკი, 20 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ი. რომანცოვი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი დღეს ჩაფრინდა წყნარი ოკეანის გუამის კუნძულზე, სადაც თავის სამხედრო და დიპლომატიურ თანაშემწეებს, აგრეთვე საიგონის ხუნტის წარმომადგენლებს მოეთათბირეს იმაზე, თუ როგორ განაგრძონ ვიეტნამის ომი.

ამერიკის ოფიციალური პირნი ხულ ამას ამტკიცებენ, თითქოს თათბირის ძირითადი ამოცანა სამხრეთ ვიეტნამიხ „დაშოშმინება“ იყოს. მაგრამ მარტო ის, რომ სათათბიროდ აირჩიეს გუამი — დიდი სამხედრო ბაზა, საიდანაც ამერიკელი მეკობრეები თავს ესხმიან ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, — არ ადასტურებს ამ ოფიციალურ ვეოსიას.

გუშინ სენატორებმა მენსფილდმა და ფულბრაიტმა განაცხადეს, რომ გუამის კონფერენციას მოჰყვება ამერიკის სამხედრო აქტივობის გაძლიერება ვიეტნამში. ტელევიზიით გამოსვლისას ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ ახლო მომავალში გაიზრდება სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარების რიცხვი და გაფართოვდება სამხედრო ოპერაციები, რათა „გაანადგურონ მოწინააღმდეგე და აიძულონ დანებდეს.“

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს გუამის კუნძულზე გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის თათბირი სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის სამხედრო სარდლობისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებთან ვიეტნამის ომის საკითხზე. თათბირს ესწრებიან აგრეთვე. სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის წარმომადგენლები.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი გუამიდან იტყობინება, სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტმა პრემიერმა ნგუენ კაო კიმ თათბირის დაწყებისთანავე მოითხოვა ომის შემდგომი ესკალაცია ვიეტნამში.

ინდონეზიაში აკრძალეს საბჭოთა ლიტერატურა

ჯაკარტა, 18 მარტი. (საკდესი). ინდონეზიის ხელისუფლებმა გამოაქვეყნეს ამ ლიტერატურის დიდი სია, რომელიც უნდა დაწვან 30 დღის განმავლობაში. ამ სიაში, ვ. ი. ლენინის შრომებთან ერთად, შედის წიგნები და ბროშურები საბჭოთა კავშირის შესახებ. აკრძალული ლიტერატურის სიაში ა. პ. ჩეხოვის რჩეული მოთხრობებიც კი შევიდა. ინდონეზიაში ასევე აკრძალულია საბჭოთა ეურნალები: „სოვეტსკაია ეენშინა“, „კულტურა ი ეიზნ“, „სოვეტსკი სოიუზ“ და სხვ.

ამასთანავე ჯაკარტის გაზეთები ამ დღეებში ფართო რეკლამას უკეთებენ ანტიკომუნისტურ და ანტიგბჭოთა წიგნებს, რომლებიც გამოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ახლა ინდონეზიის წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა.

ინდოეთის პარლამენტში

დელი, 18 მარტი. (საკდესი). პარტია „ჯან სანგჰის“ საპარლამენტო ჯგუფის ლიდერმა ა. ვაჯპაიამ დღეს შეიტანა წინადადება, რომ გამოეცხადოს მთავრობას ენდობლობის ოტუმი იმის გამო, რომ რაჯასტანის შტატში შემოიღო პრეზიდენტის მართვა-გამგეობა. ამას. იწყება პრეს ტრას ოფ ინდიის საგენტო. წინადადებამ მიიღო ხმების საკმარო რაოდენობა იმისათვის, რომ დაისვას პარლამენტში განსახილველად.

პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე პრეზიდენტ რადჟაკრიშნანის გამოსვლის დროს ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა, გარდა პარტია „სვატანტრის“ დეპუტატებისა, დატოვეს სხდომის დარბაზი პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ რაჯასტანის შტატში შემოიღეს პრეზიდენტის მართვა-გამგეობა.

პრეზიდენტის მართვა-გამგეობა რაჯასტანის შტატში შემოიღეს იმისთან დაკავშირებით, რომ ცენტრალური ადმინისტრაციის აზრით, ვერც ერთმა პარტიამ ვერ მიიღო შტატის საკანონმდებლო კრებაში იმდენი ადგილი, რამდენიც საკმარისია მთავრობის შესადგენად, თუმცა ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ შეუძლიათ შეადგინონ კოალიციური მთავრობა.

ინდოეთის მთავრობაში

დელი, 18 მარტი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გაანაწილდა სახელმწიფო მინისტრების კიდევ სამი პოსტი. მ. გურუპადასვამი დანიშნულია ტომური ეიერგიის დეპარტამენტის სახელმწიფო მინისტრად, ბხაგატ ჯა აზადი — განათლების სამინისტროს სახელმწიფო მინისტრად, ი. გუჯრალი — პარლამენტის საქმეთა დეპარტამენტის სახელმწიფო მინისტრად. გამოცხადდა აგრეთვე ცენტრალური მთავრობის 16 მინისტრის მოადგილის გვარები.

დღევანდელი დანიშვნების შემდეგ ინდოეთის ცენტრალური მთავრობის წევრთა რიცხვი 52 კაცამდე გაიზარდა. აქედან 19 არის კაბინეტის მინისტრი, 17 — სახელმწიფო მინისტრი და 16 — მინისტრის მოადგილე. 9 მინისტრის მოადგილე ორველად არის დანიშნული თავის პოსტზე.

გაუქმდება საგანგებო წესები

დელი, 18 მარტი. (საკდესი). ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა მიმდინარე წლის 1 ივლისიდან გააუქმოს საგანგებო წესები ინდოეთში, გარდა იმ რაიონებისა, სადაც შექმნილი სითუარეა მოითხოვს ამ წესების განგრძობას. ეს განაცხადა დღეს ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩავანმა პარლამენტის სახალხო პალატაში.

ინდოეთის მთავრობა

დელი, 18 მარტი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გაანაწილდა სახელმწიფო მინისტრების კიდევ სამი პოსტი. მ. გურუპადასვამი დანიშნულია ტომური ეიერგიის დეპარტამენტის სახელმწიფო მინისტრად, ბხაგატ ჯა აზადი — განათლების სამინისტროს სახელმწიფო მინისტრად, ი. გუჯრალი — პარლამენტის საქმეთა დეპარტამენტის სახელმწიფო მინისტრად. გამოცხადდა აგრეთვე ცენტრალური მთავრობის 16 მინისტრის მოადგილის გვარები.

ლოჯის დანიშვნა

პარიზი, 20 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ელჩი სამხრეთ ვიეტნამში გ. კაბოტ ლოჯი დღეს დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ დავალებათა ელჩად.

რეფერენდუმის შედეგები

პარიზი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს ჯიბუტში (საფრანგეთის სომალი) გამოქვეყნდა საბოლოო შედეგები გუშინ მოწყობილი რეფერენდუმისა ამ ტერიტორიის მომავალი სტატუსის საკითხზე. როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ჯიბუტიდან იუწყება, კენჭისყრის მონაწილეთაგან 23.014 კაცმა მხარი დაუჭირა საფრანგეთთან წინანდელი კავშირის შენარჩუნებას. ამის წინააღმდეგ და საფრანგეთის სომალისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას ხმა მისცა 14.719 კაცმა.

დღეს გუბერნატორმა ჯიბუტში შემოიღო კომენდანტის საათი. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ქალაქში მოხდა არეულობა, რომლის დროს პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, რომლებიც არ ეთანხმებიან რეფერენდუმის შედეგებს.

გაწმენდის ნაყოფი

ტოკიოს საქალაქო სასამართლომ ამას წინათ იაპონიის კორპორაციის ხუთ მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელს მიუსაჯა ჯარიმა არჩევნების კანონის დარღვევისათვის. მათ ბრალად ედებოდათ სამსახურებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო სახსრების გამოყენება იმისათვის, რომ პარლამენტში აერჩიათ კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტი აკირა კომაიასი. თვითონ კომაიასისათვის კი არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ.

პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები ამა წლის იანვრის დასლეს მიმდინარეობდა „მაქნიაციებისაგან პოლიტიკის გაწმენდის“ ლოზუნგით. და აი შედეგი: საარჩევნო კანონის დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა და სხვადასხვა სასჯელი დაედო 15 ათასზე მეტ კაცს. დაპატიმრებულები, როგორც წესი, ყველფერს იოლად გადიავლებენ ხოლმე თავს, პარლამენტში არჩეულები კი ხელუუხებელი რჩებიან.

იაპონია არაჩვეულებრივი ქვეყანაა, წერდა იაპონური გაზეთი „იომიური“, სადაც კანონის დამრღვევნი პარლამენტში სხედან და თვითონ გამოსცემენ კანონებს.

ვის ხარჯზე?

იტალიის ბევრი ქალაქის მუნიციპალიტეტები ბუდან განიცდიან სახსრების ნაკლებობას. მათი ბიუჯეტები ძალიან ხშირად დეფიციტურია. რატომ ხდება ეს? საქმე ის არის, მათი სახსრები აქმნება მოქალაქეთა შემოსავალზე დაწესებული ადგილობრივი გადასახადებიდან. მაგრამ ბევრი მეიდარი მალაეს თავისი მოგების თანხებს.

მაგალითად, როგორც პრესა ამტკიცებს, იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია რომაელი ინჟინერი გრაფი გოფრედო მანფრედი. მუნიციპალურ საბჭოში გრაფის შემოსავალს ნახევარ მილიარდ ლირას ანგარიშობენ. თვითონ მანფრედი კი ამტკიცებს, რომ მისი შემოსავალი ასჯერ ნაკლებია. სწორედ ამ თანხიდან — 5 მილიონი ლირიდან თანხამაა იგი გადაიხადოს გადასახადები.

გადასახადების გადახდისათვის თავის არიდების მეთოდები იტალიაში ძალიან ბევრია. მაგალითად, შეიძლება ძირითადი საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალო, დიდი ქალაქიდან გადახვიდე პატარა მუნიციპალიტეტში, რომელიც ნსუფრალის მიგდების საფასურად მზად არის თვალი აარიდოს თავისი ახალი მოქალაქის ქონების ოდენობას.

ამის შედეგად ქალაქისათვის საჭირო ხარჯების მეტი ნაწილი მშრომელებს ეკისრებათ. „ქალაქის მამებიერაფერს ვერ აკეთებენ „ამა სოფლის ძლიერთა“ წინააღმდეგ ან, რაკი მათს ხარჯზე არიან, თვალს არიდებენ შონოპოლისტთა ამ მაქინაციებს.

ირან-ერაყის ერთობლივი კომუნიკე

თეირანი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე ირანში ერაყის პრეზიდენტის არეფის 6 დღის სახელმწიფო ვიზიტის შესახებ. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყანამ გადაწყვიტა განაგრძოს მოლაპარაკება სპარსეთის ყურეში კონტინენტური შელფის შესახებ და საერთაშორისო კანონების შესაბამისად მდინარე შატ ელ-არაბის წყლის ერთად გამოყენების შესახებ.

მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება იმის შესახებ, რომ ირანმა და ერაყმა ითანამშრომლონ კონტინენტური შელფის რაიონის, და ნეფტხანისა და ნეფტშახის რაიონების ნავთობის რესურსების ექსპლოატაციაში. გაანმართება აგრეთვე მოლაპარაკება, რომ დაიდოს შეთანხმება იმ წესების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ერთი ქვეყნის მოქალაქის მეორე ქვეყანაში ცხოვრებას, საქმიანობას და საკუთრების უფლებას.

ოსტატური ქარცვა

ვაშინგტონი, 20 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ბ. მკრტიანი იუწყება: განვითარებადი ქვეყნებიდან შეერთებულ შტატებში „მეცნიერთა გადაბირებაზე“, ან უფრო „მეოცე საუკუნის ოსტატურ ძარცვაზე“ ლაპარაკობდნენ სპეციალისტების მომზადების პრობლემათა ვაშინგტონის კონფერენციის მონაწილენი. როგორც ცნობილია, ათეული წლების მანძილზე ამერიკის სხვადასხვა ორგანიზაციებმა — უნივერსიტეტებმა, ინსტიტუტებმა და კერძო კომპანიებმა ევროპიდან და კანადიდან საუკეთესო სპეციალისტები და მეცნიერები გადაიბირეს თავიანთ ლაბორატორიებსა და სამეცნიერო ცენტრებში. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა ამ უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც ამერიკის ხელისუფლებამ შემოიღეს ახალი საიმიგრაციო კანონი, რომლის თანახმად ამერიკაში უშვებენ იმიგრანტებს ეგრეთწოდებული „სარეგბლიანობის“ სტანდარტის გათვალისწინებით. ამ სიახლის მსხვერპლნი გახდნენ ახლა განვითარებადი ქვეყნები და განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნები. აფრიკა-ამერიკის ინსტიტუტის პრეზიდენტმა ვალდემან ნილსენმა, რომელიც გამოვიდა კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ სტუდენტთა ნახევარი, რომლებიც აფრიკის ქვეყნებიდან სასწავლად ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიპლომების მიღების შემდეგ რჩება შეერთებულ შტატებში.

„როცა განვითარებადი ქვეყანა, — განაცხადა სენატორმა უოლტერ მონდეილმა, — რომელსაც ისედაც ძალიან ცოტა ჰყავს მომზადებული მეცნიერები, ექიმები და ტექნიკური სპეციალისტები, კარგავს თუნდაც ერთ მათგანს, — ეს მძიმე დანაკლისია ქვეყნისა და მისი მომავლისათვის“.

მან ხაზი გაუსვა, რომ განვითარებადი ქვეყნებიდან შეერთებულ შტატებში ტალანტების გადმობირება აფერხებს ამ ქვეყნების პროგრესს. სენატორმა მოიყვანა. შეწყდეს განვითარებადი ქვეყნებიდან ახალგაზრდა ტალანტების შეერთებულ შტატებში გადმობირების ეს პრაქტიკა, რამდენადაც, როგორც მან განაცხადა, ამის შედეგად აღნიშნულ ტალანტებს ტოვებენ შეერთებულ შტატებში, აძლევენ მუშაობის კარგ პირობებს. სენატორს მხარი დაუჭირეს თავიანთ გამოსვლებში აგრეთვე კონფლიქტების უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ჯ. ბეთგ-უმეროსმა და განის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფ. არკჩერსტმა. ამ უკანასკნელმა ამასთან აღნიშნა, რომ 1970 წლისათვის აფრიკის ქვეყნების მოთხოვნილება სპეციალისტთა მომზადებულ კადრებზე ერთიანად გაიზრდება.

მოიპარეს რუბენსის სურათი

კაირო, 18 მარტი. (საკდესი). როგორც ადგილობრივი პრესა იტყობინება, გუშინ აქ სურათების გალერეაში დიდი ქურდობა მოხდა — მოიპარეს გამოჩენილი ფლამანდიელი მხატვრის რუბენსის სურათი „ორი სახე“, რომელიც შეფასებულია 100 ათას ვირვანქა სტერლინგად.

სურათი წინათ ეკუთვნოდა ეგვიპტის შეფის ოჯახს და მონარქიის დამხობის შემდეგ ინახებოდა კაიროს კაზმული ხელოვნების მუზეუმში.

კომუნისტი

მე-8 გვერდი. სამშაბათი, 21 მარტი, 1967 წ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსადმი

18 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს განუცხადეს შემდეგი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს განუცხადოს შემდეგი.

საერთაშორისო ურთიერთობაში საყოველთაოდ მიღებულია, რომ უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა უნდა იცავდეს იმ ქვეყანაში მოქმედ კანონებსა და წესებს, სადაც იგი იმყოფება, არ ეროვდეს საშინაო საქმეებში და მოიქცეს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ამ ქვეყანასთან ურთიერთობას.

მაგრამ მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო უხეშად უგულებელყოფს მთელ მსოფლიოში მიღებულ დებულებებსა და ნორმებს, მიმართავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სრულიად შეუთავსებელია უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსთან. ეს წინასწარ განზრახული მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს სხვანაირად, თუ არ მტრულ მოქმედად საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ.

არავისათვის საეჭვო არ არის, რომ აღმაშფოთებელი პროვოკაცია, რომელიც საელჩომ მოაწყო ეს ელჩი მოედნებზე ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან ა. წ. 25 იანვარს, წინასწარ დაგეგმილი იყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გამწვავებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ანტისაბჭოთა ისტერიის გაღვივებისათვის მორიგი სახაბის შექმნის მიზნით. ამბებმა, რომლებიც ამან მოჰყვა, მთელი სიცხადით დაადასტურა ეს საძრახისი მიზნები.

საბჭოთა კავშირისადმი მტრობის გასაღვივებლად მოსკოვში მყოფ ჩინელ მოქალაქეებს შორის ა. წ. 1 თებერვალს საელჩომ თვისმა ტერიტორიაზე გამართა თანამშრომელთა და სხვა ჩინელ მოქალაქეთა ანტისაბჭოთა მიტინგი და დემონსტრაცია. მან იზრუნა იმისათვის, რომ ამ საძრახისი აქციის მონაწილეთა დანახვა და მოსმენა შეხაძლოა ყოფილიყო საელჩოს ტერიტორიის მახლობელი ქუჩებიდან.

3 თებერვალს საელჩომ მოაწყო თავის მუშაკთა შეტაკება საბჭოთა მოქალაქეებთან იმ ფოტოგაზეთებთან, რომელზეც წინასწარი განზრახვით გამოფენილი იყო შეთხზული მასალები, რომლებიც შეიცავდნენ ცილისმწამებლურ გამოდგომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

9 თებერვალს ჩინელმა დიპლომატებმა ცდადეს გამოეწვიათ არეულობა და მოხკოვიდან მიმავალ ჩინელ სტუდენტთა შეტაკებანი საბჭოთა მოქალაქეებთან იაროსლავლის ვოგზლის მოედანზე.

ამ და სხვა პროვოკაციებს საელჩო იყენებს იმისათვის, რომ შეთხზას სხვადასხვაგვარი უაზრო ვერსიები საბჭოთა კავშირში ჩინელ მოქალაქეთა ვითომდა „ზოცვა-ულეტის“, მათდამი „უმაგალითო მხეცობის“ შესახებ.

მიუხედავად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს არაერთი გაფრთხილებისა, საელჩო წინანდებურად ცდილობს გავრცელოს ანტისაბჭოთა შინაარსის პროპაგანდისტული ლიტერატურა — ეურნალები „პეკინ რევიუ“, „კიტაი“, „კიტაისა სტროიკე“, რომლებიც პეკინში გამოდის, აგრეთვე საელჩოს მასალები, რომლებიც შეიცავენ ბოროტ ცილისწამებას საბჭოთა კავშირის, მისი ხალხისა და მთავრობის მიმართ.

ანტისაბჭოთა პროპაგანდის წარმოებისა და საბჭოთა კავშირისადმი მტრული ლიტერატურის გავრცელებისათვის საელჩო იყენებს ოფიციალურ დარბაზობებს, შეხვედრებსა და პრეს-კონფერენციებს. ასეთი იყო საელჩოს მიერ 1966 წლის 23 ოქტომბერს მოწყობილი დარბაზობა უცხოელი სტუდენტებისათვის, კინოსურათების გასინჯვა და პრეს-კონფერენციები უცხოელი კორესპონდენტებისათვის, რომლებიც ა. წ. იანვარსა და თებერვალში მოიწყო. ყოველი ასეთი ღონისძიების დროს საელჩოს დიპლომატიური თანამშრომელნი წარმოთქვამდნენ ანტისაბჭოთა სიტყვებს, მოიწოდებდნენ საბჭოთა კავშირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ შეხვედრების დროს უცხოელ სტუდენტებსა და კორესპონდენტებს, დიპლომატიურ მუშაკებს თავს აბეზღნენ ლიტერატურას, რომელიც შეიცავდა გამოგდომებს და მტრულ მონაჭორს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საელჩომ დაუშვა ასეთი გამოგდომები აგრეთვე ფილმების ინოტაციაში, რომლებიც დაუგზავნა გასინჯვაზე მოწვეულთან ერთად 27 იანვარს.

ანტისაბჭოთა საქმიანობაში საელჩო აბამს ჩინელ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სსრ კავშირში. მათ შორის იგი აწარმოებს მუშაობას, რომლის მიზანია მტრობის გაღვივება საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს არ შეუძლია აგრეთვე არ აღნიშნოს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო ანორეციელებს დიპლომატიური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოთა ურთიერთობაში უპრეცედენტო პრაქტიკას — თავს არიდებს ნორმალურ საქმიან შეხვედრებს ოფიციალურ საბჭოთა წარმომადგენლებთან. ამ უკანასკნელ თვეებში საელჩოს თანამშრომელნი არც ერთხელ არ მოსულან საბჭოთა დაწესებულებებში, კერძოდ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, დანიშნულ დროს. ამასთან იმიზეზებდნენ ისეთ რაღაც, როგორიც არის „სადილობა“, „დასვენება სადილის შემდეგ“, „გასეირნება“ და სხვ. საბჭოთა დაწესებულებებში ოფიციალური შეხვედრების ხელ ჩინეთის დიპლომატიურ მუშაკებს უტაქტოდ, გამომწვევად უჭირავთ თავი, ცდილობენ გამოთქვან ხაზოზარი ცილისწამება საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, ისე იქცევიან, რომ საუბრის განგრძობა შეუძლებელი გახდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გათელვაა საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების და საბჭოთა კავშირში არსებული წესებისა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ანტისაბჭოთა საქმიანობა, რასაც წინასწარი განზრახვით ეწევა საელჩო, მისი ცდა, ჩაერიოს საშინაო საქმეებში, გამოხატავს ჩინეთის მხარის მისწრაფებას კიდევ უფრო გააწვეოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო მთელი სერიოზულობით აფრთხილებს საელჩოს, რომ ამ პროვოკაციული საქმიანობის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩინეთის მხარეს.

საელჩოს ანტისაბჭოთა საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საელჩოს პირველ მდივანს მიაო ციუნს და მესამე მდივანს სუნ ლინს, რომლებიც უშუალოდ აწყობენ ამ საქმიანობას და უშუალო მონაწილეობას იღებენ პროვოკაციულ გამოგდომებში, რითაც არღვევენ საბჭოთა სახელმწიფოს კანონებსა და წესებს, ბოროტად იყენებენ დიპლომატის მდგომარეობას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველ მდივანს მიაო ციუნსა და მესამე მდივანს სუნ ლინს აცხადებს არასასურველ პირებად და მოითხოვს დაუყოვნებლივ დატოვონ მათ საბჭოთა კავშირი“.

ახალი ორლეანის სასამართლო დარბაზში

ახალი ორლეანის სისხლის სასამართლო დარბაზში მუხით მოპირკეთებული კედლების ფანოლთანი ჩაშენებულან ფორმიანი და საფოლაქოო ტანსაცმლიანი პოლიციელები. ამინი დგანან გასასვლელშიც, მოწმის ზურგსა ანაბაზე, თვალს ადევნებენ ხალხს. — ჯინმეგ ბიმისაკენ ან წაიღოს ხელი. შეერთებული შტატების შორეული სამხრეთის ამ ქალაქში, ლუისიანის შესართავთან, მიმდინარეობდა პრეზიდენტ კენედის მოკვლის მიზნით შეთქმულების საქმის წინასწარი მოსმენა.

ახალი ორლეანის 750 ათასიან მოსახლეობას შეემატა საფრანგეთისა და ალჟირის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის, დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხის ფიდიოს, ტელევიზიისა და გაზეთების ორიგინალ ასეული ფოტორეპორტიორი და კორესპონდენტი. სამხრეთელთათვის დამახასიათებელი რბილი გამოთქმის მქონე ახალორლეანელები, ცოტა არა იყოს რა ნასიამოვნებენ, ეტერ კი, უნდა ითქვას, განცვიფრებული ისინ სასეთი ყურადღებით იმისადმი, რაც ხდება სასხლის სასამართლოს რუხ პირქუშ ბინაში, რომლის პორტიკზე წარწერილია: „ყველ მართალს კანონი, და არა ადამიანები“.

მაგრამ გასაკვირველი არაფერია. ამერიკელთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესი პრეზიდენტ კენედის მოკვლის ნამდვილი გარემოებებისადმი 22 ნოემბრის იმ საღამოს წერო დღის შემდეგ, როცა სროლა გაისმა დალასში, კი არ შენელდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ბევრს ეჭვი ეპარება, რომ სწორი იყოს უორენის კომისიის დასკვნები იმის შესახებ, თითქოს პრეზიდენტი ერთადერთ მოკლას ლი ჰარვი ოსვალდს, რომ ოსვალდ მარტოდმარტო მოქმედებდა და ამ ფაქტში არ არის პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულების არსებობის მტკიცებულებანი.

ამ ეჭვების საფუძველზე უკვე ბევრი წიგნი დაწერა. რომლებიც აბუჩად იგდებენ უორენის კომისიის მოხსენებას. ორმა დიდმა ამერიკულმა ეურნალმა — „ლაიფმა“ და „ტაიმ“ ბევრი ივნინე ჯოსტმა“ მხარი დაუჭირეს ეჭვიანებს ახალი გამოძიების მოწყობის ინიციატივას. ამერიკის საზოგადოებრიგი აზრის ბოლოთხოვამ, რაც თებერვალში მოეწყო, გამოავლინა, რომ ამერიკელთა 59 პროცენტის აზრით მთავრობის ამ კომისიის მოხსენებამ აუარა გამოძიების აშკარა ნაკლოვანებებს, უპასუხოდ დატოვა ბევრი კითხვა კენედის მოკვლის გარემოებათა შესახებ. „არასოდეს არ მეგონოდა, რომ პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლა ერთმა კაცმა“, განაცხადა 16 მარტს კენედის ოჯახის ახლო მეგობარმა კარდინალმა კუშინგმა. ახალი ორლეანის გ

ეს სურათი გადაღებულია კვირას, 19 მარტს თბილისის ლენინის რაიონის № 41 საარჩევნო უბანში, სადაც დილადანვე საზეიმო განწყობილება სუფევდა. აქ, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა ამომრჩევლებისათვის გამართა კონცერტი.

სურათზე: პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ჯგუფის გამოსვლა.

ფოტო შ. ხხეტიანისა.

ნეპტუნის დღესასწაული

თავიანთ სამშობლოს არ ივიწყებენ შორეული ზღვაოსნობის ეკიპაჟის წევრები. თუ რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა მათს გემზე, ამას დეპეშით აცნობებენ სამშობლოს, პირველ რიგში კი გაზეთ „კომუნისტს“.

აი ასეთი დეპეშა მივიღეთ გუშინ ატლანტიკის ოკეანეში მყოფი საქართველოს საოკეანო თევზჭერის ტრაულერ „შოთა რუსთაველიდან“. გემის კაპიტანის პირველი თანაშემწე ჩაჩანიძე გვაცნობებს:

საქართველოს ფლოტის ფლაგმანმა არაერთხელ გადასერა ეკვატორი. ჯერ კიდევ წინა რეისებში ტრაულერ „შოთა რუსთაველს“ მოუხდა ეკვატორის გადალახვა ინდოეთის ოკეანესა და გვინეის ყურეში, მაგრამ არასოდეს გადაულახავს ეკვატორი ატლანტიკის ოკეანის ცენტრში. ეს მოხდა 1967 წლის 11 მარტს.

მეზღვაურთა ეს საზეიმო და დაუვიწყარი წუთი დაიწყო ნეპტუნის — ზღვის ღმერთისადმი თაყვანისცემით. გემის კაპიტან-დირექტორმა პეტრე აბრამიამ ნეპტუნს მიართვა ეკიპაჟის სია, და დაიწყო იმ მეზღვაურთა „ნათლობა“, რომლებმაც პირველად გადაკვეთეს ეკვატორი. „ნათლობის“ შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გემის თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

„შოთა რუსთაველი“ მალე მივა ბრაზილიის სანაპიროებთან, შემდეგ ჩავა ურუგვაისა და არგენტინის სანაპიროებისაკენ, სადაც დაიწყებს რეწვას.

საქართველოს საოკეანო თევზჭერის ფლოტის მეზღვაურები ამ ახალ რეისშიც არ შეირცხვენენ თავს, მდიდარი ნადავლით დაბრუნდებიან სამშობლოში.

გამოიცა მოსკოვში

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ „საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიაში გამოსცა გამოზეზილი ქართველი პოეტის ალიო მირცხულავას რჩეული ლირიკული ლექსთა კრებული. ამ სერიის სარედაქციო კოლეგიაში შედიან ა. ტვარდოვსკი, ა. პროკოფიევი, ვ. ინბერი, ვ. პერცოვი, ხოლო წიგნის რედაქტორია ე. ფრანგულოვა.

წიგნში შეტანილია 170 ლექსი და მინიატიურა, რომელთა თარგმანები ეკუთვნის ცნობილ რუს პოეტებს ნ. ტიხონოვს, ე. ევტუშენკოს, ვ. დერჟავინს, დ. ბრედუკის, მ. ლუკონინს, მ. სვეტლოვს, დ. სამოილოვს და სხვებს.

წიგნს დართული აქვს პოეტის პორტრეტი, ვრცელი ავტობიოგრაფია, აგრეთვე ქართულ ტერმინთა, საკუთარ და ეთნოგრაფიულ სახელთა მოკლე სიტყვარი. ტირაჟია 10.000 ეგზემპლარი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 18 მარტის ბრძანებულებით დადგენილია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ საჰაერო ტრანსპორტით და საქალაქთაშორისო ავტობუსით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონის მე-3 მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები № 1, 1938 წელი) შეტანილ იქნეს დამატებანი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. დაწესდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მუდმივი სამგზავრო ბილეთები და მიეცეთ მათ უფლება საქართველოს სსრ ფარგლებში უფასოდ იმგზავრონ სარკინიგზო, წყალსავალი, საჰაერო ტრანსპორტით და საქალაქთაშორისო ავტობუსებით“.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ საჰაერო ტრანსპორტით და საქალაქთაშორისო ავტობუსებით უფასოდ სარგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი, № 36, მუხ. 567).

შემოქმედებითი სემინარი გაკურიანში

ბაკურიანი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გასულ კვირას ბაკურიანის ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკში მუშაობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის მეორე სემინარმა თემაზე: **„ახალგაზრდა ხელოვანი და სოციალისტური მშენებლობა“.**

სემინარში უმთავრესად მონაწილეობენ ახალგაზრდა მწერლები, კრიტიკოსები, მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები და მსახიობები. სემინარს ესწრებიან აგრეთვე სტუმრები — მოსკოვის, ლენინგრადის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლები.

პირველი სხდომა გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ჩერქეზიამ,** მოხსენება თემაზე — „პარტიულობის პრინციპი ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებაში“ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა **ბ. ჟღენტმა.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. ასათიანმა** წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ახალგაზრდობა — ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციის გამგრძელებელი“.

დღის მეორე ნახევარში დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ **კ. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, ჭ. ამირეჯიბი, რ. მიშველაძე, ბ. ჟღენტი, გ. ასათიანი.** დასასრულ სიტყვა წარმოთქვა **ო. ჩერქეზიამ.**

ამით დამთავრდა შემოქმედებითი სემინარის პირველი დღის სხდომა. ორშაბათს დილის სხდომაზე მუშაობდა სახვითი ხელოვნების მუშაკთა სემინარი, რომელიც გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **რ. მეტრეველმა.** „ახალგაზრდა ხელოვანი და სახვითი ხელოვნება“ — ამ თემაზე მოხსენება გააკეთეს საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **უ. მეძმარიაშვილმა** და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა **ო. ეგაძემ.**

დ. ჯიჯილეიშვილი.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.

ქვინის წყალზე...

ვანი. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ ამაღლების მშრომელებმა. ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ხიდი მდინარე ქვინის წყალზე.

ამ სოფლის მოსახლეობა, რომელსაც მდინარე ჰყოფდა, ამიერიდან ერთმანეთს დაუკავშირდა.

დიდი მოგზაანი

◆ **ჯიათურაში** მცხოვრებმა მოქ. დავით დომენტიის-ძე შეფილაძემ ჭიათურის ცენტრალურ შემნახველ ხალაროში წარადგინა **1966** წლის გამოშვების სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი ხელხის **152349** სერიის **№ 30** 20-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც **5.000** მანეთი მოგება ხვდა.

ივ. ჯაჯანიძე.

◆ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). სოფელ ყვალითის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ოთარ აბრამიშვილმა ზესტაფონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების **1967** წლის ლატარიის მეორე გამოშვების **43216** სერიის **№ 416** ბილეთი, რომელმაც მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

მხატვარ ქალთა ნამუშევრები

ტრადიციულად ყოველი 8 მარტისათვის ჩვენი მხატვარი ქალები თბილისის საზოგადოებრიობას აცნობენ თავიანთ ახალ ნამუშევრებს. ასე იყო ამჯერადაც — მხატვართა კლუბში მოეწყო საქართველოს მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს ე. მაყაშვილის, ე. თულაშვილის, ე. ძიგიუროვა-ქიქოძის, ი. თუმანიშვილის, მ. თუმბალიშვილის, ნ. კანდელაკის, ნ. თანდაშვილის, ნ. ფოფხაძის, ლ. სვანიძის, ტ. საკორსკიის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები.

ქალთა საერთაშორისო ტურნირზე

ბელგრადი. 20 მარტი. (ტელეფონით). აქ გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

მეცხრე ტური არასახარბიელო აღმოჩნდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებისათვის. მსოფლიოს ჩემპიონს **გაფრინდაშვილს** პაექრობა ჰქონდა **ბელამარიჩთან.** ქველინდურ დაცვაში გაფრინდაშვილმა მეტოქეს პაიკი შეწირა და გარკვეული უპირატესობა მიიღო. ამის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა მხედარიც კი მოიგო, მაგრამ ციტნოტში სუსტად ითამაშა, დროს გადააცილა და დამარცხდა.

არც რუმინელ **ნიკოლაუს** დაადგა კარგი დღე **კონარკოვსკა-სოკოლოვასთან** პარტიაში. მოსაგებ პოზიციაში ნიკოლაუმ რამდენიმე უხეირო სვლა გააკეთა ციტნოტში და დამარცხდა.

ჰეემსკერკმა მოუგო ლილიაკს, **ივანოვიჩმა — ნოვარას, ნედელკოვიჩმა — ტიმოფეევას. ზატულოვსკაია-ასენოვა** და **ერტოვა-ბილე